საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლავრენტი მაღლაკელიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი
თარიღი: 27.05.2021 წ.

ლავრენტი მაღლაკელიძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული. ის პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს. ღიად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. მის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. ის ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა ვალდებულებებს. აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია. კოლეგებს შორის კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით. კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური და სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	კანდიდატი ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. მას გარკვეულ სისხლისსამართლებრივ საკითხებში გამოკვლეული

			აქვს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა და პრქატიკა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. მის მიერ გამოტანილი განაჩენი არის სათანადოდ დასაბუთებული და დამაჯერებელი. გადაწყვეტილებებში იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებს, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში შაბლონურად. მას აქვს 15-წლიანი პროფესიული გამოცდილება.
წერის უნარი	19	20	კანდიდატს აქვს გამართული წერის უნარი, ნათლად და გასაგებად გადმოსცემს თავის პოზიციას როგორც წერილობით, ისე ზეპირად.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატი ღიად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს, საუბრობს გამართულად და თანმიმდევრულად. ამასთან, გასაუბრებით გამოწვეული მღელვარება კანდიდატის საუბარში არ იგრძნობოდა.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატს აქვს სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, არის შრომისმოყვარე, მიზანდასახული. პასუხისმგებლობით უდგება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, აქვს საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების 100%-იანი დაცვა, რაც მეტყველებს მის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატი არის ღია სიახლეებისა და უნარების გაღრმავების მიმართ, აქვს თვითგანვითარების სურვილი. ამასთან, ის არის საკმაოდ აქტიური პროფესიული კუთხით, არის არაერთი სამეცნიერო-საგრანტო პროგრამის თანამშრომელი. კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგსა და პროფესიულ შეხვედრაში, მათ შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში. ამასთან, ის არის არაერთი სამართლებრივი სტატიისა და სახლემძღვანელოს ავტორი და თანაავტორი.

ქულათა ჯამი	95	100	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, ლავრენტი მაღლაკელიძის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ლავრენტი მაღლაკელიძეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ის კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს, თუმცა, მას უფიქსირდება მცირედი ჯარიმები ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის. კანდიდატი რეგისტრირებული არ არის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. უნდა აღინიშნოს, რომ 2017-2020 წლების განმავლობაში კანდიდატს არ დაჰკისრებია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი რაიმე სახის სამართალდარღვევის ჩადენისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ლავრენტი მაღლაკელიძეს სათანადოდ აქვს შეგნებული თავისი პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერად		

	ასრულებს თავის ვალდებულებებს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა კორექტულობა. თუმცა, მას გაუჭირდა მოთმინების უნარის გამოვლენა კერძოდ, თანამოსაუბრისთვის აზრის გამოხატვის თუ კითხვის დასმის დასრულების შესაძლებლობის მიცემა. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატი არის დამოუკიდებელი, პრინციპული და სამართლიანი, რასაც ასევე დადებითად აფასებენ მისი გამოკითხული კოლეგები. მოძიებული ინფორმაციით ლავრენტი მაღლაკელიძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი და შემომწირველი. ამასთან, გასაუბრების მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** კანდიდატი სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად ლავრენტი მაღლაკელიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე გამოირკვა, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე არ წარმოდგენილა მხარედ ან დაზარალებულად, ამასთან, არ ფიქსირდება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობის ფაქტი. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** ლავრენტი მაღლაკელიძეს აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. რეკომენდატორები და კოლეგები ხაზს უსვამენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, ეთიკურობის მაღალ სტანდარტს, სიმშვიდეს, პროფესიონალიზმს, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ მის მიერ მიღებული რამოდენიმე გადაწყვეტილება ქრესტომათიული ხასიათისაა და ისწავლება, გაირჩევა როგორც სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ისე განიხილება აკადემიურ კონფერენციებზე. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს

	კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს - ოდნავ მოჭარბებულ თვითკრიტიკას. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** იმის გათვალისწინებით, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს, მიმაჩნია, რომ აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვის გაჩენის საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ამასთან, კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> **<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u>** მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *სამართლის ნორმების ცოდნა;* • *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;* • *წერის უნარი;* • *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;* • *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;* • *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;* • *პროფესიული აქტივობა.* **<u>სამართლის ნორმების ცოდნა;</u>** კანდიდატი ფლობს როგორც სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ისე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. გარკვეულ სისხლისსამართლებრივ საკითხებში მას გამოკვლეული აქვს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა და პრაქტიკა.

	გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატის პასუხები იყო საკმაოდ ლაკონური და ძირითადად დასაბუთებული. კანდიდატს გასაუბრების მსვლელობისას დაესვა არაერთი სამართლებრივი შეკითხვა, რომელთა უმეტეს ნაწილს მან ამომწურავად და დასაბუთებულად გასცა პასუხი. თუმცა იყო საკითხები, რომელთა განხილვაც კანდიდატს შედარებით გაუჭირდა, მაგალითად, ახლო ნათესავის მიერ ჩვენებაზე უარის თქმის საკითხთან დაკავშირებით, ასევე პირისთვის ბრალის წარდგენის გარეშე განრიდების გამოყენებაზე და ა.შ.. საბოლოო ჯამში, კანდიდატმა მისთვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვებზე მსჯელობისას სრულად ანდა ნაწილობრივ ამოწურა საკითხთა საერთო რაოდენობის 85%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;</u>** კანდიდატის სამართლებრივ ნაშრომებში მას თავისი პოზიცია აქვს სათანადოდ დასაბუთებული, რაც აღნიშნულს სძენს დამაჯერებლობას. ამასთან, მისი სამართლებრივი პუბლიკაციები არის მკითხველთათვის გასაგები და მარტივად აღქმადი. კანდიდატმა იცის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და იყენებს მათ გადაწყვეტილებაში, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში გამოვლინდა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებებს ის იყენებს შაბლონურად. ლავრენტი მაღლაკელიძეს აქვს 15-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს დაახლოებით 5 წლიან სამოსამართლო პრაქტიკას. კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. **<u>წერის უნარი;</u>** კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ნათლად, მარტივი და გასაგები ენით. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი;</u>** თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს ღიად, გასაგებად და თანმიმდევრულად. მას აქვს გამართული მეტყველების უნარი. გასაუბრებით გამოწვეული მღელვარება კანდიდატის საუბარში არ იგრძნობოდა.

	<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;</u> კანდიდატს აქვს სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, არის შრომისმოყვარე და მიზანდასახული. პასუხისმგებლობით უდგება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, აქვს საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების 100%-იანი დაცვა, რაც მეტყველებს მის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** კანდიდატი არის ღია სიახლეებისა და უნარების გაღრმავების მიმართ. აქვს თვითგანვითარების უნარი და სურვილი, ის საკმაოდ აქტიურად ესწრება ადგილობრივ და საერთაშორისო სასწავლო პროფესულ შეხვედრებს. კანდიდატს ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. **<u>პროფესიული აქტივობა.</u>** კანდიდატი არის საკმაოდ აქტიური პროფესიული კუთხით, კერძოდ, ის არის არაერთი სამეცნიერო-საგრანტო პროგრამის თანამშრომელი. კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგსა და პროფესიულ შეხვედრაში, მათ შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით. კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში. ამასთან, ის არის არაერთი სამართლებრივი სტატიისა და სახლემძღვანელოს ავტორი და თანაავტორი.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი:

ხელმოწერა: 27.05.2021 წ.